საჯარო სამართლის იურიდიული პირი

# საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

# საქპატენტი

ქ. მცხეთა "10" 06 2013 წ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 828/03

**სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე**

2012 წლის 17 იანვრის N 65884/03 განაცხადით შპს "Novator Pharma"-ის (მის: სოფ. ირგანჩაი, დმანისის რაიონი, საქართველო) დირექტორმა იუსიფ იადიგაროვმა მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „Fernicsil“ (რეგ. N 23728) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „Fernicsil“ (რეგ. N 23728) საქართველოში რეგისტრირებულია 07.06.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 07.06.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ “საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „Fernicsil“ (რეგ. N 23728) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 261, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 10.06.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
**www.sakpatenti.org.ge**

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს "Novator Pharma"-ის დირექტორს იუსიფ იადიგაროვს (მის: სოფ. ირგანჩაი, დმანისის რაიონი, საქართველო).

ასლი დედანთან სწორია
"10" 06 2013წ.
ხელმოწერა